

# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

კვირა, 23 მარტი | № 3.—1914 წ. | ფასი 10 კაპ.

ქართული თეატრი

კვირას, 23 მარტს 1914 წელს

დილით

„ჯეჯილის“ რედაქცია ჰმართავს

## საბავშო დილას

წარმოდგენილი იქნება პიესა:

## „ყვავილთა შორის“

და

საკონცერტო განყოფილება

ადგილების ფასი დაკლებულია

დასაწყისი 3 საათზე





არჩილ ჯორჯაძე

**1872—1913**

გარდაცვალებიდან წლისთავის შეს-
რულების გამო

ქართული თეატრი

დღეს, 23 მარტს 1914 წ.

ქართული დრამატიული საზოგადოე-
ბის დასის მიერ

ნ. ჩხეიძის მონაწილეობით

წარმოდგენილი იქნება

ორი ახალი ორიგინალური პიესა

I

## ზ რ მ ა

დრამ. პოემა 3 მოქმედებად (აზრი ალებულია) კონსტ. დავ. ერისთავისა.

II

## სიყვარული

ვოდ. 3 მოქ, აკაკი წერეთლისა

დასაწყისი $8^1/_2$ საათზე

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი.

ადმინისტ. ქართ. დრამ. საზოგად.

# ძმ. ზუბალ. სახალხო სახლი

„ხარებობას“ სამშაბათს დილით 25 მარტს

ტფ. 1-ლი ქართველ მუშათა მომღერალ-მგალობელთა გუნდი



## მიხეილ კავსაძის

ლოტბარობით მართავს მეორედ

# დიდ სახალხო კონცერტს

3 განყ. (გუნდის ფონდის გასაძლიერებლად)

ქართულ მუსიკის მცოდნე **ი. გ. კარგარეთელი** წაიკითხავს: **„უმთარესი მომენტები მუსიკის განვითარებისა კერპთაყვანისმცემლობის დროიდამ“.**

1 და 2 განყოფილებაში, 50 კაცისაგან შემდგარი გუნდი ქართულ ჩერქეზულად გამოწყობილი შეასრულებს ძველ მუსიკოსების მიერ გადაღებულ ხალხურ სიმღერებს, ხოლო მე 3 განყოფ. გლეხურად გამოწყობილი იგივე გუნდი სოფლის ცხოვრებიდამ შეასრულებს პატარა სცენებს სიმღერათამაშით.

## დასაწყისი დილის 12 საათზე

# თეატრი და ცხოვრება

სათეატრო სალიტერატურო ჟურნალი

№ 3

წლიურად **5** მ., ნახევარ წლით **3** მ., ცალ-კე ნომერი **10** კ. ხელის მოწერა მიიღება დრ. საზ. კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან (,,**სოროპანი**''-ს სტამბაში). მისამართი:

**Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба" Іос. Имедашвили.**

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება — ხელთნაწერები საჭიროებისამებრ შესწორდება.—რედაქტორთან პირისპირ მოლაპარაკება შეიძლება შუადღის 10—2 ს. და სად. 6—7 ს. ტელეფონი № 15-41.

**№ 3** **კ ვ ი რ ა, 23 მ ა რ ტ ი** **1914 წ.**


## მარტი 23.

**სოფელმა რა-ლა დააშავა?!** ,,განცხრომის ძევ, ეს ქვეყანა შენთვის არის შექმნილი''-ო, დიდი ხანია სთქვა მგოსანმა და ამ სიტყვებს დღესაც არ დაუკარგავს თავისი ძალა...

და მართლაც, როდესაც თვალს გადაავლებ ჩვენის ცხოვრების სინამდვილეს, უცხოური ბურუსიდან გამორკვეული, კაბინეტიდან ფეხს გასდგავ და ჩვენს სოფელს გულის სიწმინდით ჩაუკვირდები, საზარლობა მოგიცავს..

საზოგადოებრივი გრძნობა, საეროვნო იდეალებით აღფრთოვანება, საქვეყნო საქმით გატაცება, სრულიად დახშულია და ჩაკლული სოფლად...

მუდმივი სიცივე და სიბნელე ბინადრობს იქ..

სასოფლო სკოლა ოდნავ ბჟუტავს (სადაც კი არსებობს) და უმეტეს შემთხვევაში ხრჩოლავს...

სოფელს არა ჰყავს შესაფერისად მომზადებული მასწავლებელი,—ეს ჭეშმარიტი სინათლის მფენელი, სიბნელისა მფანტველი,—სოფელს არა ჰყავს ღირსეული მოძღვარი, არა ჰყავს ჭეშმარიტი, თავდადებული ინტელიგენცია და თუ რომელსამე სოფელში მადლიანი ადამიანი მოიპოება—ძლიერ იშვიათად —საერთო ცხოვრების ერთფეროვანობაშია ჩაფლული: სიტყვას მისას ანგარიშს აღარ უწევენ, გაზეთი ანუ წიგნი რო წაუკითხოს კიდეც გლეხებს, დაასმენენ, ჰსდევნიან და განსდევნიან...

სოფელს არა აქვს არავითარი კულტურული დაწესებულება,—თუ სადმე სამკითხველო დაფუძნდება, ისიც შემთხვევით, მოულოდნელად და შეუმჩნევლადვე გაჰქრება, ხოლო იმ სოფლებში, საცა სამკითხველოები მაინც არსებობს, შესამჩნევი სარგებლობა ვერ მოაქვს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენი დღევანდელი სასოფლო სკოლა და სამკითხველო ურთიერთზე არაა გადაკვანძილი...

ყველა ამ მიზეზთა გამო სოფელში ჩაკლულია საზოგადო აზრი, საზოგადო აღფრთოვანება, სიყვარულისა, სინათლისა და უმაღლეს იდეალთადმი მისწრაფება...

მხოლოდ ზაფხულობით იწყება ცოცხალი მოძრაობა, ახალი სიცოცხლე, როდესაც გარედ გასული ახალგაზდობა უბრუნდება სამშობლო სოფელს: მთელი ზაფხულის განმავლობაში გამართავს ერთს ან ორს წარმოდგენას, თავის ძალღონის შესაფერის, ისიც უმეტესად თავის შესაქცევად, მაგრამ ეს წარმოდგენებიც უმეტესად მოწვეულ ხალხისთვის იმართება...

მერე ვინ უნდა გააღვიოს სოფელში საზოგადოებრიობა, ვინ უნდა დაუსახოს მაღალი იდეალები ხალხს, ვინ უნდა ჩაახედოს ცხოვრების უტყუარ სარკეში ბეჩავი სოფელი, ვინ უნდა განაცდევინოს მას სულიერი სიტკბოება, ბოროტ საქმეთა გამო სულიერი ქენჯვნა—შენანიება, საგმირო საქმეებით აღფრთოვანება, განახლებულ ცხოვრების მოპოების წყურვილი, თუ არა ქართულმა სახიობამ და ქართველმა მსახიობმა!

ქართველი მსახიობი და მხოლოდ მისი ტრაპეზი— სცენა უნდა მიეშველოს დღეს ჩამორჩენილს ჩვენს სოფელს...

ქართველმა მსახიობმა უნდა დაამტკიცოს, რომ მართლა და ყოველივე მხოლოდ „განცხრომის ძეთათვის" არაა შექმნილი, რომ სოფელ-

საც უფლება აქვს იგემოს ხე ცნობადისა...

დიდი ხანია წარსულს ჩაჰბარდა ის აზრი, ვითომც სერიოზული თეატრი არ ძალუძს გაიგოს ჩვენმა გლეხმა!..

სოფელს სწყურია სულიერი საზრდო და ათასი დაბალი ხარისხის სულიერნი ბოროტად სარგებლობენ მისი გულუბრყვილობით...

ამ დროს-კი ქართული დრამატიული დასნი ისევე ქალაქ ადგილებში თავმობეზრებულ საზოგადოების წინ ტრიალებენ, წელებზე ფეხს იდგავენ, რომ სეზონამდე მიახწიონ დღენი თვისნი. იქნება დედა-ქალაქთა გარდა სხვა ქალაქებშიც ისარგებლონ-რამ, მაგრამ ნუ თუ ქართველი მსახიობი მხოლოდ თვის კუჭს უნდა ჩაჰლნაოდეს?!

არა! ქათველ მსახიობს კიდევ უფრო სხვა იდეალი უნდა უცისკროვნებდეს გზას..

საჭიროა დრამატიულმა საზოგადოებამ ანუ დრამატიულ დასის მსახიობთ შეადგინონ ერთი ანუ ორი რიგიანი დასი, თვითეულმა ერთი ანუ ორი პიესა აირჩიოს, კარგად მოამზადოს და საზაფხულოდ გაემგზავროს სოფლებისაკენ, უმთავრესად სოფლებისაკენ:—ერთი დასი რომ აღმოსავლეთ საქართველოდან დაიწყებს, მეორემ დასავლეთ საქართველოდან უნდა დაიწყოს და ისე შემოიარონ უმთავრესი სოფლები. ამისთვის, რასაკვირველია, ადრევე უნდა გაიგზავნოს კაცი შესაფერი თადარიგის დასაჭერად...

ჩვენ გვწამს, რომ ყველა კუთხის დაბასოფლის მცხოვრებნი ასეთ მოგზაურ დასებს დიდის სიხარულით მიეგებებიან.

ასეთი მოგზაურობით მოგებას თუ არა ზარალს მაინც არა ნახავენ, თავს დაირჩენენ, და სოფელსაც ერთხელ მაინც განაცდევინებენ სიამტკბილობის წუთებს...

რეპერტუარი, რასაკვირველია, შესაფერი უნდა იყოს, საგანგებოდ ამორჩეული..

ამას დახანება აღარ უნდა...

## სახალხო წარმოდგენების საქმე ქუთაისში

თითქმის ერთ წელიწადზე მეტია, რაც ქუთაისში შესდგა „პატარა წრე“, რომელმაც მიზნად დაისახა სახალხო უნივერსიტეტთან ერთად ქუთაისში სახალხო იაფ-ფასიანი წარმოდგენების მართვა. მიზანმა ხორცი შეისხა; ამ წრისა და სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის ზოგიერთ წევრებისაგან დაარსდა სპეციალური „სახალხო უნივერსიტეტის თეატრალური სექცია“. სექცია შეუდგა წარმოდგენების მართვას. სექციის-მიერ პირველ გადადგმულ ნაბიჯს დემოკრატია აღფრთოვანებით შეეგება. საქმის დაწყებიდანვე ყველაფრიდან სჩანდა, რომ ნიადაგი სახალხო წარმოდგენებისათვის ქუთაისში მზად იყო, მხოლოდ საჭირო იყო ამ საქმეში მოთავეებს ფეხი და გარეშეთა თანაგრძნობა, რომ წარმოდგენები რიგიანად დაედგათ და მაყურებელ-მსმენელთათვის თანადროული შინაარსიანი პიესები მიეწოდებიათ. პირველ ნაბიჯის გადადგმის შემდეგ ვფიქრობდით საქმე თან და თან გაუმჯობესდებოდა, გვეგონა ამ დიად სახალხო საქმეს დემოკრატიული ინტელიგენტები, მოწინავე მუშები დაუახლოვდებოდნენ, პირველ გამოსულ სცენის მოყვარეებს ახალი სცენის მოყვარეები მიემატებოდნენ და ასე და ამ გვარად საქმე წინ წაიწევდა, მაგრამ, სამწუხაროდ, უნდა ავღნიშნო ჩვენი დაუდევრობის მეოხებით საზოგადო კანონს ცხოვრებისას, პროგრესს ქუთაისში სახალხო წარმოდგენების საქმე ასცდა და სულ „უარ და უარ“ წავიდა ქუთაისში. ათიოდე გამართულმა სახალხო წარმოდგენამ ნათლად დაგვარწმუნა, თუ რაოდენათაა მოწყურებული ჩვენი ხალხი გონივრულ და ესტეთიურ საზრდოს. ვისაც გული შესტკივა ჩვენს ხალხზე და მხოლოდ ფარისევლურ ცრემლებს არ აფრქვევს მის ტკივილებზე, აუცილებლად უნდა შეეცადოს ქუთაისში სახალხო წარმოდგენების საქმესთან დაახლოებას და მისს რიგიან დონეზე დაყენებას.

**ილია ბახტაძე**

## ც. შევჩენკოს ლექსი

ვინცა ჰგმობენ თვის სამშობლოს
დიდებას და მწარე წარსულს,
ივიწყებენ დედაენას
და სწირავენ სხვებს სულს და გულს,—
ის ბედკრულნი— გარეწარნი
დაილუპნენ შერცხვენილნი,
ნულარც მიწა მიიღებს მათ
და სწყევლიდნენ მკვდრებსაც შვილნი.

**დათიკო ივრელი**

# სიმართლის ქურუში



არჩილ ჯორჯაძე

წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც მიწას მივაბარეთ არჩილ ჯორჯაძე.

წელიწადი, მთელი წელიწადი გავიდა, რაც სამუდამოთ დახუჭა თვალები წინასწარმეტყველმან ქართველთა განახლების, აყვავებაგათვითცნობიერებისამ...

სიყრმიდან მწუხარება-ვაების ძუძუ-ნაწოვმა, სიყრმიდან ობლობის მწვავე ბრჭყალებით დაჭრილმა არჩილმა დედად მშობელი ქვეყანა აიჩინა, მას შეაფარა თავი, მას სთხოვდა იმედნუგეშს. სამშობლოს მკერდმაც შეითვისა არჩილი!.. გამოიზარდა, გარნა არ უმტყუნა მშობელს, არ დაივიწყა ღვაწლი ფრიადი. პირდაპირ შეხედა დედის დაგლეჯილ ლეჩაქს შვილმა, დააკვირდა მის დაკაწრულს სახეს, შელახულს, ნაღვლიანს შუბლს და შეუდგა პირმშო ვალის აღსრულებას.

თვისის სპეტაკის სულის ძალებით მან ტაძარი აღაშენა წმიდა, სადაფი საღმრთო მომავალისა... იქ დაასვენა ხატი ტანჯულის ივერიისა და თვით ქურუმად დადგა. ამ ტაძარს შეხაროდა იგი, მას შეჰფრფინავდენ მთელი მისი აზრი, გრძნობა, ოცნება.

არჩილმა უშიშრად ჩაიხედა ქართველი ერის სულის წიაღში, შეიცნო სიღრმე მისი ტრაგედიისა, და ეს ცნობა, ნაღველ-სამსალაში ამოვლებული, ქაღალდზე გადაიტანა, ცნებათა ბაღად ააგო, თვალწინ დაგვიყენა და გვითხრა: ,,აჰა, შეხედეთ, იცანით თავი თქვენიო“

გარემო კი სიბნელე, სიჩუმე იყო... მხოლოდ პირქუში ცა და ყრუ დედამიწა...

თუ დ. ყიფიანი ნება იყო უტეხი, განხორციელებული-შეუკავებელი სწრაფვა, და მის ცეცხლეულ ტალღებით დაიხრჩო იგი, არჩილმა გონებით მოინდომა სიმართლის დანახვა.

სუსტის ხელით ამოზიდა მან იგი სიმართლე ჟამის ლაფიდან, წარსულის ქურაში გამოატარა, მომავლის სამოსით შეგრაგნა, საკუთარის ცრემლებით გაწმიდა-გაასპეტაკა და ისე ამართა კვარცხლბეკზე აწმყოისა მტერთა ლახვარ სასობად და მოყვარეთა სამხიარულო-დასამშვენებლად...

არჩილი ეძებდა...

ნახა და ნახულით პირველად თვითვე დაიწო... დაიწო ვით წმიდა სანთელი საკურთხევლისა, ვით ტარიგი უმწიკვლო...

მოკვდა არჩილი, მხოლოდ ისე, რომ მოასწრო აღთქმის შეკვრა და იგი აღთქმა,—სიმართლის ხელწერილი განვლილ დიდების ბეჭედ-დასმული და საუკეთესო მომავალით სულდგმული,—ჩვენ გადმოგვცა აღსასრულებლად...

დღეს შესრულდა წელიწადი, რაც მოგვტაცა სიკვდილმა არჩილ ჯორჯაძე. დღეს კვლავ უგალობებენ მას გულგასაგმირ ,,სულთათანას‘‘, დღეს კვლავ კვნესით მუხლს მოიხრის მთელი საქართველო არჩილის ხსოვნის წინაშე, მაგრამ გვაქვს-კი იმდენი ვაჟკაცობა, ჩვენს თავს შევეკითხოთ: ვასრულებთ არჩილის დანაპირებს? ვითვალისწინებთ მის აღთქმას?—

თუ ჰო—იმედია!

თუ არა—ვაი შენ, ერო უბედურო!!!

ობოლი

* *
*

როდესაც თვალწინ სახე შენი მიდგია წმინდა,
როცა გიგონებ, მაშინ მე მსურს, მაშინ მე მინდა,
რომ ანგელოზმა შენ ფრთა თვისი გადაგაფაროს,
რომ მოგვენიჭოს ნეტარება, მშვიდობა სრული,
რომ შენ არც სევდა, არც ნაღველი არ მოგეკაროს,
რომ ძველებურად იყო მარად შენ მხიარული...

* *
*

მაგრამ როდესაც შევეყრები სადმე შენს ნაცნობს,
როცა მე იგი ეშმაკურის ღიმილით მამცნობს,
რომ შენ არც სევდა, არც ნაღველი არ გეკარება,
რომ შენ ისევე ძველებურად ხარ მხიარული,—
შავი ღრუბელი მაშინ ჩემს სულს გადეფარება
და გამოუთქმელ მწუხარებით მევსება გული!..

კ. ჭიჭინაძე

# ქართველი ქალი

ქართლის დედაო, ძუძუ ქართლისა
უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა ..

**ილია.**

ქართველი ქალი! ვის არ გააკრჟოლებს ეს მედგარი და მასთან ნაზი სახელი?..

რამდენს საგონებელს აღძრავს იგი ქართველის გულში!

გადაშალეთ ქართველი ერის ისტორია და იქ მისს თვითეულს კაბადონზე შეჰხვდებით ოქროს ასოებით წარწერილს სახელს **ქართველი ქალისას!**

დიაღ, ქართველი ქალი ძველად იყო დიდება მრავალტანჯულ ივერიისა და ამისათვის მზადა ხარ მის წინაშე მუხლი მოიდრიკო და ტრთოლვით წარმოსთქვა: „დიდებული ხარ, ქართველო ქალო, რადგან საქართველოს არსებობას შენ შთაჰბერე სული“.

ძველად ქართველი ქალის სული—საქართველოს სული იყო, ქართველი ქალის სულისკვეთება, მისი მამულის სულისკვეთება იყო! და ქართველის გმირობა და ქედ-წაუხრელობა, ქართველ დედის მიერ იყო შექმნილი!..

იგი იყო საქართველოს ცხოვრებაში მაგარი სვეტი: სარწმუნოებისა, ენისა და ზნეობისა...

იგი ჰზრდიდა ისეთ მამულის შვილთა, რომელნიც მზად იყვნენ თავი გაეწირათ სამშობლოსთვის და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ებრძოლათ.

დიაღ, ქართველი ქალი ისეთ შვილთ ჰზრდიდა, რომელნიც დიდებულ დროშის ქვეშ ამაყად გაიძახოდენ: „**სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი**“!..

ასეთი იყო ქართველი დედა!...

წარვიდენ დრონი, წარვიდენ იგინიც და აქ დაგვიტოვეს თვისი შარავანდედით მოსილი დიდებული სახელი, ხოლო ცხოვრების საასპარეზო ბურთი და მოედანი დღევანდელ ქართველ ქალებს დაუტოვეს და თან უანდერძეს, რომ შვილების აღზრდის დროს, იგინი საზრდოდ ხმარობდენ „ქრისტესა მცნებას, ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“!

მაგრამ დრო შეიცვალა...

ვენი ცხოვრების ჩარხი უკუღმა დატრიალდა და ქართველმა დედამაც ანაზდეულად აუხვია თავისს მოვალეობას!

ძველნი ჩამოჰშორდენ ახლებს და მათ შორის დაიდო „**დიდი მზღვარი**“; დიდი განსხვავება მოხდა ძველ „ქართველი დედის“ და დღევანდელ „გრუზინკას“ შორის!..

თუ ძველად ქართველი დედა ჰზრდიდა **ვახტანგ-ერეკლეებს**, **თამარ-ქეთევანებს**, დღეს ჩვენს ცხოვრებაში, გადაგვარებულმა „გრუზინკამ“ ჰშობა ჯიბე-გაფხეკილი, მამულის დამღუპავი ბაქია „დონკიხოტები“ და ისეთი „მარუსა-თამარუშკები“, რომელნიც ჭიკჭიკით ასე გაიძახიან: „ოღონდ შენ იყო, ჩემო ძვირფასო, ქვეყნად, ოღონდ შენ გხედავდე და სამშობლო რას მიქვიანო?.. საითაც შენ წახვალ, იქ ახალი სამშობლო გამოჩნდებაო!..“

როდესაც ნათლად ჰხედავ ჩვენს უკუღმართ ცხოვრებას და უკვე გათვალისწინებულ ცნობილ დაუდევრობას, თვალი ცრემლით გევსება და დღევანდელ ცხოვრების მოედანზე კვლავ ეძიებ ძველებურ „ქართველს დედებს“, ხოლო ჰხედავ რა ორიოდე მათგანს ჩვენს ცხოვრების სარბიელზე, მაინც გული გევსება ახალ იმედით საუკეთესო მომავალისადმი

...: მაშ ეტყობა, რომ ქართველი დედა, ისევ მოგვიბრუნდება და ისევ გააცოცხლებს დღეს ჩამკვდარ გმირულს ბუნებას!.. მაშ მიეცით ისევ წილი ჩვენს ცხოვრებაში ქართველ დედას, ხოლო ჩვენ აღვიმსთნეთ ახალი იმედით, რომ მშობელი იგი კვლავ პირნათლად აღასრულებს თვისს მოვალეობას ერის წინაშე!..

**გ. ლეონიძე**

* * *

ვისაც ნორჩ გულში მოახვედრეს ბასრი ისარი
და მოუწამლეს სანატრელი სიცოცხლის წამი,
ამხანაგებო, ის ბედკრული იცით სად არი?

—

მას შავი მიწა და ლოდები აყრია გულზე,
იქვე ვარდია ამოსული, ობლად ნაზარდი,
დ ეკითხება ფერმიხდილი: „უტკბესო სულზე,
რათ დამაობლე, განა ქვეყნად არც მე გიყვარდი!..

**ქნარი**

***

მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის
ღონისა და ძალის მომცემი.

**ილია ჭავჭავაძე.**

ერთს სოფლის თავში მოჩუხჩუხებდა პატარა ნაკადული. იგი გუბდებოდა ერთს ამოღრმავებულ ადგილას; მერე უხვევდა სოფელს კარგა მოშორებით და იკარგებოდა მინდვრებში.

დაუდეგარი რამ იყო ეს ნაკადული. იგი გადმოსჩქეფდა ერთს კლდის პირას და იქიდან დაქანებული ისეთი სისწრაფით ჩამორბოდა და ისე ახმაურებდა მთელ მიდამოს, რომ მისი ჩუხჩუხი და წკრიალა რაკრაკი კარგს მანძილზე გაისმოდა.

გუბე კი სამაგიეროდ ისეთი დარბაისელი, დინჯი და მშვიდი რამ იყო, რომ თუ კაცი თავზედ არ წასდგომოდა, ვერც კი შეამჩნევდა მას.

გუბეს, დინჯს და დარბაისელს, ვერ აეტანა ნაკადულის ჩუხჩუხი და ხმაურობა.

„ნეტავ რა ახარებს მაგ გიჟს? რას მორბის ეგრე დამთხვეულივით, დუდუნებს გუბე, რაზედ იმტვრევს თავს? გიჟი!.. გადარეული!.. აბა, ერთხელ თუ დადგეს და ჭკვიანად ილაპარაკოს ან არა და დინჯად გაიაროს! ერთი კაცმა სთქვას, ვის რად არგია ეგ დამთხვეული!..“

ცელქი ნაკადი კი უფრო მხიარულად ჩუხჩუხებს, უფრო აწკრიალებს თავის რაკრაკა ხმას; იგი მოხიბლულია ბუნების სიმშვენიერით და შეჰხარის მას.

ბრაზმორეული გუბე განაგრძობს დუდუნს:

„ოხ! ნეტავი მე მაინც არ მიერთდებოდეს, თითქოს ძალიან მწყუროდეს მაგისი ნახვა. აბა, ჩემო ლამაზო, ჩასჩიჩინებს გუბე იქვე ამოსულს წერწეტა ლერწამს, არ შეგაცდინოს მაგ გადარეულმა. ვატყობ რაღაცა გელუკლუკება, ეტყობა მოსწონხარ. რით უნდა გასაზრდოვოს მაგ დამთხვეულმა? ეგ ხომ დაგადნობს, დაგაჭლექებს“.

მართალი სთქვა დუდუნა გუბემ: ნაკადული გაჰმიჯნურებოდა მშვენიერ ლერწამს. შეამჩნევდა თუ არა შორიდან ნაკადული წერწეტა ლერწამს, მიისწრაფოდა მისკენ გამალებული, მართლაც გიჟივით ჰლახავდა, რაც კი წინ შეეხეჩებოდა. ლერწამიც, რა დაინახავდა მოჩუხჩუხე ნაკადულს, კეკლუცად მოიღერებდა კისერს, ნაზად არხევდა წერწეტა ტანს, თითქოს ჰლამობდა სატრფოს მიგებებას. მაგრამ მოაგონდებოდა თავისი მშობლის სიტყვები და გაყუჩდებოდა, წარბს შეიკრავდა. ამის დამნახავი ნაკადი, რა მიუახლოვდებოდა ლერწამს, გაუბედავად გარს ევლებოდა, ხმა ამოუღებლივ ეტრფოდა მას.

ერთს მთვარიან ღამეს, როდესაც ლერწამის სიმშვენიერემ მთლად მოჰხიბლა პატარა ნაკადული, მან თავი ვეღარ შეიმაგრა: „მიყვარხარ“ თავდავიწყებით ჩასჩუხჩუხა ლერწამს და თან მთლად გაყუჩდა, გულის ფანცქალით ელოდდა პასუხს.

ლერწამიც სდუმდა.

— „მიპასუხე მშვენიერო! წაილუღლუღა ნაკადმა, შეგიძლიან თანამიგრძნო?“

კიდევ რაღაცა უნდა ეთქვა ნაკადულს, მაგრამ ენა არ ემორჩილებოდა, ლერწამს კი მოაგონდა თავისი მშობლის დარიგება და უპასუხა: „არა, არ შემიძლიან“.

ვეღარაფერი გაუბედა გულგალახვრულმა ნაკადმა, წყნარად გაბრუნდა ქვევით.

მაგრამ გასცდა თუ არა გუბეს, თოფნაკრავივით გავარდა. დაიწყო გმინვა დაჭრილ მხეცივით, ტანჯვით მოსთქვამდა თავის უბედურებას და თან ისეთი ძალით ეხეთქებოდა კლდიდან ძირს, თითქოს ჰლამობდა თავის განადგურებას. გმინავდა ნაკადი და აფრქვევდა ცრემლს შეუშრობელს. მთელი ბუნება თანაუგრძნობდა მას. მთვარეც კი, მიუდგომელი, ცივი მთვარეც შეეთამაშა ნაკადს, რომ დაემშვიდებინა იგი.

– ეგრე, ჩემო ჭკვიანო, — უალერსებდა ამ დროს გუბე ლერწამს, აბა უყურე მაგ დამთხვეულს რაებს სჩადის! კიდევ კარგი, შენს ახლოს ჭკვიანად არის. ოხ! როდის მოგვაშორებენ თავიდან მაგ დამთხვეულს?!

აუსრულდა გუბეს წადილი. მეორე დღეს ამოვიდნენ სოფლელები. სოფელს წყალი მოშორებით ჰქონდა, ახლა ეთავათ და ნაკადული შუასოფელში გაჰყავდათ. გათხარეს სოფლელებმა არხი და ნაკადული თავისკენ გაიყვანეს, მოაშორეს გუბეს.

გავიდა ხანი. ცელქი ნაკადი, გადმომსქდარი კლდის პირიდან, ისევ ისე გიჟურად მოჩუხჩუხებდა შუა სოფელში და ახმაურებდა მას.

მთელი სოფელი მადლიერი იყო იმისი,

მითი ამაყობდა. გუბემაც ცოტა ხანი გასძლო; ცოტა ხანს კიდევ ახმაურებდნენ მას ბაყაყები, მაგრამ მალე ამოშრა და ლერწამიც უწყლობით გახმა.

**ლევ. გარსიაშვილი**

# საქმიანობა

როდესაც ვუმზერ მოხელეს, უფლებით აღჭურვილს, მონურად ბრმად დამორჩილებულს, თბილ ალაგზე მოკალათებულსა და მკაცრის ბრძანებით, ბატონის სამხიარულოდ და თავის საჩენად რომ ზღუდავს ხალხის უფლებას, აფერხებს, სპობს მის წინმსვლელობას და უხეშ ძალას ღიმილით, თავმოხრილი, ფეხქვეშ უგებს ხალხის მარგალიტს გასათელად,—ზიზღით ვივსები.

ამ დროს მეუბნებიან: ისაქმე, თავი იჩინე!..

საქმე, საქმეა საჭიროო!..

ზოგჯერ ბუნება ხალხს გაურისხდება და სიმშილს მოუვლენს ხოლმე; მაშინაც ვხედავ მოხელეთ, სხვადასხვა კომისიაში მომუშავეთ, რათა დამშეულთ დაეხმარონ და ბატონის ჯიბეც არ დააზარალონ. სესხს აძლევენ, წლის ბოლოს მოწოდებათ ჰგზავნიან, გულშემატკივრებს შველას სთხოვენ, თან კი ხელქვეითებს ბრძანებას უთვლიან—გადასახადი სრულად აჰკრიფონ.

საქმიანობენ, ხალხს ვითომ ჰქომაგობენ და ამ ქცევითა თავს მართლულობენ.

საბრალონი!.. მეც-კი მეუბნებიან ისაქმე, დაეხმარე!..

საქმე, საქმეა საჭიროო!..

როდესაც პრესა ხმას იმაღლებს და იდეურ დროშის დასაცავად არ ერიდება პიროვნების შელახვას, არ ინდობს მამულს და მის წარსულს-აწმყოს დასცინის, უკეთეს შვილებს ლაფში სვრის, ცილს სწამებს, ოღონდ დემაგოგთა სიბრმავე სხვასაც თავს მოახვიოს, ბრაზი მეჯერევა, მახრჩობს!..

მეუბნბიან: დასწერე, ისაქმე!..

აქაც საქმეა, საქმე საჭიროო!...

როდესაც ვხედავ, ანუ მესმის ქართველებს მიწა ეცლება, მიწის მუშა და მისი გაკოტრებული ბატონი ქალაქებში სამუშაოდ გარბიან, მათ ალაგს-კი სხვანი მკვიდრდებიან, მე მაშინ ცრემლი მდის!...

ისევ მეუბნებიან: იშრომე, ხელი შეუწყე.

საქმე, საქმეა საჭიროო!..

როდესაც მესმის დამახინჯებული ენა ქართლისა, რომელსაც ვითომდა დარაჯად ზურგს უკან ამოსდგომიან მოლუღლუღე ინტელიგენტები,უსწორ-მასწორონი, გზა დაკარგულნი, გადაგვარებულნი, უცხო ენაზე აღზრდილნი და, სრულიად შეუგნებელად, ლამობენ სცენის, სკოლის და პრესის საშუალებით აღადგინონ დედა-ენა, მწარე სიცილი გულს მიკლავს!..

მეუბნებიან: შენც ისაქმე.

საქმე, საქმეა საჭიროო!..

როდესაც ვხედავ სულიერ მამასაც, მოხელედ გადაქცეულსა, ვუსმენ უცხო ენაზე წირვა-ლოცვას და ვუყურებ მლოცველთ, ეკლესიის გალავანში შეკრებილთა, ისიც მხოლოდ მოვალეობის აღსასრულებლად, ვისიმე პატივსაცემლად მოსულთა, ვგრძნობ რომ დაკარგულია ეკლესია ქართლისა და მასთანავე რწმენა და სინიდისიც, მაშინ აქ გლოვით ვივსები და თავჩაღუნული ვბრუნდები.

მეკი მეუბნებიან:

აქაც საქმე, საქმეა საჭიროო!..

ამ დროს გულის ტკივილით შევყურებ ქართველ ქალს და მისგან ველი განახლებას, ხსნას!.. მაგრამ როდესაც ვუმზერ მათ ქცევას და ვხედავ, რა რიგ ანიავებენ მამაკაცებთან ერთად მამულ-დედულსა, ვუკვირდები მათ შრომას საზოგადო საქმეში, ისიც მხოლოდ დროს მოსაკლავად, თავის საჩენად რომ ჩარეულან და მესმის არა ქართული, ისევ ვლონდები, ვიღრუბლები!..

ხმა კი საზარი სულ ერთავად მესმის:

საქმე, საქმეა საჭიროო!..

**გიორგი ფოცხოველი**



ს. ზ. მგალობლიშვილი

# ქართველ მწერალთა წერილები

(მოგონებანი)

## I

## სანდრო ყაზბეგი

ამ დღეებში გადავსინჯე ჩემი შინაური არქივი, სადაც აღმომაჩნდა მიწერ-მოწერა ჩვენს მწერლებთან. ჯერჯერობით მსურს გამოვაქვეყნო წერილები იმ პირთა, რომელთაც დაიმკვიდრეს სამარადისო სახსენებელი.

ეს მოგონებანი, რომლის ბეჭდვას ვიწყებ „თეატრი და ცხოვრებაში“, სრულებით განსხვავდება იმ ჩემ მოგონებათაგან, რომელნიც იბეჭდებოდენ კვირეულ ჟურნალ „ერში“ და შემდეგ „თემში“. ამ მოგონებებში იქნება ბაასი განსაკუთრებით ჩვენს მწერლებზე.

—

ერთს საღამოს, 1871 თუ 1872 წ. რეპეტიცია გვქონდა თბილისში ანტონ ფურცელაძისას; ვამზადებდით ზ. ანტონოვის კომედიას „ქმარი ხუთი ცოლისა“ და მოლიერის „ძალით ცოლის შერთვევინებას“, დიმიტრი ყიფიანის თარგმანს. ახალი პიესები არა გვქონდა და ძველებით მივდიოდით ითლად. ანტონმა სასიხარულო ამბავი გვაცნობა: ყმაწვილებო, რა უნდა გახაროთ! მე გავიცან ახალგაზდა ჯენტლმენი ქართველი ალექსანდრე ყაზბეგი, რომელსაც ერთი დიდი ზანდუკი აქვს ნაწერები და, სხვათა შორის, დრამატიული ნაწარმოებიც. მე ვსთხოვე, ჩვენს საზოგადოებას გაეცნოს.

მაგრამ სანდრო ამ წლებში აღარ გამოჩნდა და დაიწყო წერა ვგონებ 1876 თუ 1877 წლის მოხევეთა ცხოვრების აღწერით და მერე მოაყოლა თავისი საუცხოვო მოთხრობანი.

მე გავიცანი სანდრო ყაზბეგი 1879 წ. გორში, ის მოჰყვა ჩვენს ახლად დაფუძნებულს დასს, გზა-გზა სწერდა მოთხრობებს და უგზავნიდა ,,დროება‘‘-სა. ზედიზედ მოჰყვა მისი მარგალიტებივით ასხმული ნაწერები. ზოგს არა სჯეროდა, თუ ეს ნაწერები სანდროს კალამს ეკუთვნოდა. ექიმი ქაიხოსრო ფურცელაძე, აწ გარდაცვალებული, ცხარედ გვიმტკიცებდა ხოლმე გორის ინტელიგენციას, რომ ყველა ეს ნაწერი ეკუთვნის დიმიტრი ყაზბეგს, ის მოკვდა და იმის ნაწერებით მაგან ისარგებლაო. მაგრამ ეს აზრი დიდად შემცდარია, აი რა საბუთით: 1885 წ. მარიამობის თვეში სოფლად ფეხი მოვიტეხე, როგორც იყო ნ. დისამიძემ ჩამომიყვანა სახლში გორს. ენკენისთვეში ჩემს სანახავად ამოვიდა თბილისიდამ სანდრო. დიდად მიამა მისი ნახვა, მისი წყლიანი, ალერსიანი ბაასი. მე მაშინ დათავებული მქონდა მოთხრობა ,,ცვრევაზე‘‘, ჟურნალ ,,ივერიას‘‘ ვუმზადებდი. მაშინ სანდროს მოძღვარი იბეჭდებოდა ,,ივერია‘‘-შივე. წავუკითხე, მომიწონა, უფრო ბუნების აღწერა. მე ვუთხარი: ,,სანდრო, ყველა ბუზი ბზუის, ფუთკართან კი ყველა სტყუის—მეთქი. შენმა ნაწერებმა აღგვაფრთოვანა, იმედებით აღგვივსო გული, დიდებულ მომავალს ვუმზერთ‘‘. სანდრომ ჩვეულებრივად ტუჩებში ჩაიღიმა და ხმა არ გამცა. რასაკვირველია, გრძნობდა თავისს ძალასა.

მე ჩემი საყვარელი და დიდი სტუმარი მოვასვენე მეორე ოთახში. საწერ მაგიდაზე ქაღალდები დამაწყობინა. დილით შევედი, გაწეწილი იჯდა მაგიდასთან და ქაღალდის ნახევები ხრილივით ჰქონდა შემოყრილი. მე უჩუმრად გამოვბრუნდი და კარები რომ გამოვაჯახუნე, შეიტყო, მიმიხმო.

— სოფრომ, რამდენიმე თავი დავსწერე ,,მოძღვრისა‘‘, გიგოს თუ არ მივამველე დღესა, დამახრჩობსო. (გიგო ყიფშიძეს, რომელიც ,,ივერიის‘‘ გამგებელი იყო).

ჩემთან, ჩემს სახლში, ორი ნომრის მასალა დასწერა. ჩემის თვალით რომ არ მენახა, შეიძლება დამეჯერებინა, რომ სანდრომ თავისი პიძაშვილის ნაწერებით ისარგებლა.

სანდრო ძლიერ ასოსაკლებად სწერდა, ნიშნებსაც აგრე რიგად არ უსვამდა, ბეცი იყო, თვალს ვერ ადევნებდა, გადაკითხვა დაწერილისა და მისი შესწორება არ იცოდა.

— გიგა იქ არა მყამს, ის ჩაასწორებსო. —

სანდროს ჩვეულებად რო ჰქონოდა გადაკითხვა და შესწორება, ერთი-ორად მეტი ღირსებისა გამოვიდოდა მისი ნაწერები.

ხასიათით იყო წყნარი, ტკბილი მოსაუბრე, მეგობრისათვის თავგადამკვდარი, დიდი მოტრფიალე სამშობლოსი, თვისი ერისა და ენისა. უნდა გენახათ, რა ნაირად აღფრთოვანდებოდა, თითქოს გაი-

ზრდებოდა, როცა თავისი სამშობლოს სიკეთეს გაიგებდა, თუ გამოჩნდებოდა ვინმე სამწერლო ასპარეზზე. როგორ ეალერსებოდა ვაჟას ლექსებს, რა აღტაცებით იხსენებდა. ქართულმა გუნდმა აღნიშვილისამ ხომ კინაღამ გადარია. ,,დაგვეწყო ახლა კიდევ სხვა ხანა აყვავებისა, აღდგენისა, — მითხრა იმან ქუთაისიდან ჩამოსვლისას: მოვესწარ მწერლობის აღდგენას, მოვესწარ თეატრის დაფუძნებას და წარმატებას, მოვესწარ კიდევ საერო სიმღერების აღდგენას''.

აი რას მწერდა იგი ქუთაისიდან გუნდის შესახებ:

,,ძმაო სოფრომ! ჩვენმა ახლად შედგენილმა (მართლწერა სანდროსია დაცული, სადაც ასო ნაკლებია, ფრჩხილებში სრულად ვსვამ) მგალობელთა დასმა აქ ქუთაისში ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ მოვალედ ვრაცხ ჩემი სიხარული განგიზიაროთ გორელებს. არამც თუ მხოლოდ აღსრულება სხვა და სხვა ხმებისა იყო სასიამოვნო და აღტაცებაში მომყვანი მსმენელისა, არამ (არამედ) მთელმა საზოგადოებამ იგრძნო ამ დასაწყისის სარგებლზა, სწორედ და ჭეშმარიტის თვალით შეხედა და გახდა დასაჩუქრებისა მოთავეეთა დღეს კიდევ, **თხოვნით** (კურსივი მისია) გაამართვინა საღამო! მომილოცავს ამ გვარი გამარჯვება, როგორც პირადად შენთვის, აგრეთვე დანარჩენის ყმაწვილებისთვის.

,,მასთანავე გილოცავთ ახალ წელიწადს და ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს შემდეგის სიტყვებით:

ვისაც სურს შენი სისხლი დალიოს.
ისეთ (ისეთი) მტერი ნუ დაგილიოს.
დიდხანს იცოცხლოს, თუმცა ვერ გძლიოს
და შენზედ უწინ სული დალიოს!..

შენი **სანდრო ყაზბეგი**"

სანდრო წერილებს რიცხვს და თვეს არ უსვამდა. არც იმ სამს წერილს, რომელიც მე აღმოვაჩნდა, თარიღი არ უზის; ეს წერილები 1884—1885 წლებს ეკუთვნის.

სანდრო დიდს გაჭირვებას განიცდიდა ნივთიერის მხრივ, მაშინდელს დროს წიგნები აგრე რიკად არ იყიდებოდა, მიგზავნიდა თავისს მოთხრობებს, ძლივძლივობით ვყიდდით, ყიდვაში ირაკლი რამიშვილი მეხმარებოდა, ის ასაღებდა გორის ვაგზალზე გამვლელ-გამომვლელებზე და ისე თითო-ოროლა მანათს ვაწოდებდით სანდროს.

თავის წიგნების შესახებ აი მისი წერილი:

„ძმაო სოფრომ! გიგზავნი ოცდახუთს ,,ელისოს'' და იმედი მაქვს მათი გასყიდვა არ დაგზარდება.

,,დანარჩენს წიგნებსაც ამ მოკლე ხანში გამოგიგზავნი. ,,განკიცხული'' თუ არ ისყიდება ხუთი ეგზემპლიარი დაიგდე ყოველ შემთხვევისთვის და დანარჩენები-კი გამომიგზავნე.

მრავალი მოკითხვა შენს მეუღლეს და აგრეთვე ყველას, ვინც-კი ხსოვნის ღირსად გახდის

შენს **ა. ყაზბეგსა**".

სულ ჩამჩიჩინებდა, ქალაქში გადმოდიო, ვანო მაჩაბელს უსაყვედურებდა, რატომ ბანკში არ გადმოგყავთო: — ქართლშიაც საჭიროა ხალხი, ეტყოდა ხოლმე ვანო. ამიტომ სანდრო ჯიუტს მეძახდა. ამის გამო ასეთი წერილი მიძღვნა:

,,ძმაო სოფრომ! მე არ მესმის შენი სიჯიუტე, რომელიც გვაკლებს სიამოვნებას თბილისში უფრო ხშირად გნახოთ ხოლმე. რატომ არ გადმოდიხარ აქა, როდესაც აქ ყოველთვის უფრო მეტს ხალხს იპოვი, რომელნიც სიამოვნებით ძმურს და მეგობრულს ხელს გამოგიშვერენ და არასოდეს იმ უსიამოვნებას არ მოგახვევენ თავზედ, რომელიც ზოგიერთების წყალობით გორში აუცილებელია.

,,ამასთანავე აქ ყოველთვის გონების სამუშაოსაც მეტს იპოვნი და მეტი შემთხვევა გექნება უმეტესად გააბრწყინო შენი სასიამოვნო კალამი და უფრო ახლოს დაუმეზობლდე ჩვენს ლიტერატურას. ყველანი ვინც აქ გიცნობენ გულმოდგინედ ისურვებენ შენს გადმოსვლას და შენს ჩქარა ნახვას.

,,მომიკითხე მანდაურები, ვინც-კი მოკითხვის ღირსი იყოს, ღირსი იყოს მეთქი იმიტომ გწერ ეხლა გორში ისეთი ხალხი ჩასახლდა, რომ მაგათზედ უსაზიზღარი მთელს დედამიწის ზურგის არც ერთს კუნჭულში არ გამოიძებნება.

,,მანდ მოდის კოლა კორინთელი, რომელსაც სამოს. ინს. შესვლა უნდა. თუ შემწეობა შეგიძლიან რამე ნუ შეიშურვებ, რადგანაც ჩინებული ბიჭია და შეძლება კი არა აქვს. აქ თბილისში სწავლა აღარ გააგრძელებინეს სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელსაც ან თითონ გიამბობს ან როდესაც გნახამ მაშინ გიანბობ.

,,სასიამოვნოს და ჩქარ ნახვამდის, საყვარელო მეგობარო.

შენი **ა. ყაზბეგი**.

P. S. მართლა, რა ჰქენ ,,განკიცხულისა'', გაიყიდა რამე თუ არა?''

—

სანდრო ბაასის დროს არავითარიმე კერძო საგანზე არ გამოელაპარაკებოდა კაცსა. მისი აზრი სულ სამშობლო ლიტერატურის, თეატრის, საზოგადოს გარშემო ტრიალებდა.

სამშობლო ქვეყანა, სამშობლო ერი და ენა

მისი ღმერთი, მისი სამლოცველო იყო. როგორც არტისტი და დრამატურგი სუსტი იყო, მაგრამ თეატრთან განუყრელი იყო, მისამ საშინელი სენი არ შეიპყრობდა. არტისტი სუსტი იყო, მაგრამ მაგიერში შესანიშნავი მოცეკვავე მოხევურად და ჩაჩნურად ხანჯლებზე. ის ბეცი კაცი გასაოცრად ატრიალებდა ხანჯლებს, თვალებთან მიიბიზებდა და ისე გაფრინდებოდა სცენაზე, როგორც მერცხალი.

1884 წ. დიდ მარხვაში დასი გვეწვია გორში, სანდრო ჩემთან იყო ჩამომხდარი; პურის ჭამის დროს თვალებს სუფრას დააკრამდა და ისე სჭამდა. ერთს სადილზე ნატო გაბუნიამ, რომელიც ერთობ მაკვილატი იყო, სანდროს ზეთის-ხილი მიუდგა, ჭა, სანდრო, რა კაკლის მურაბააო. სანდრომ კინაღამ კბილი გაიტეხა, მართლა მურაბა ეგონა. ნატო ძალიან აწვალებდა ხოლმე, სანდრო მხოლოდ გაიღიმებდა ტუჩებში.

1886 წლიდან სანდროს სულის ავადმყოფობა დაეტყო.

მახსოვს ბათუმიდან რამდენიმე წერილი გამოუგზავნა „ივერია“-ს (მაშინ თბილისში ვიყავ და „ივერია“-ში ვმუშაობდი ზაფხულობით). სულმნათილის უკვირდა მისი ჩამოქვეითება, მაგრამ რედაქციის წევრებმა, სხვათა შორის გ. ყიფშიძემ, აუხსნეს, რომ სანდრო შეირყა, სნეულებამ დახშო მისი ბრწყინვალე ნიჭი და გონებაო. თანდათან მოიცვა დიდებული მწერალი სნეულებამ, სიკვდილამდე საავადმყოფოში გაატარებინა დროყამი, დაავიწყა საყვარელი სამშობლოც და ერიც. ცოტა ხანს იცოცხლა, მაგრამ ბევრი რამ განიცადა მისმა მაღალმა სულმა და საშინელნი განცდანი იყვნენ მიზეზნი მისი სულის დაავადებისა.

ი. მეუნარგია (?)

P. S. წერილების დედნებს, როგორც სანდრო ყაზბეგისას, ისე სხვა მწერლებისას, დაბეჭდვის შემდეგ, გადავცემ ქართულ ეთნოგრაფიულს საზოგადოებას დასაკრძალავად თავისს მუზეუმში. **ს. მ.**

# პოეტი

ხან მეფეა, გრძნობის მეფე, უგვირგვინო, ულაშქარო!
ხან კი ვინმე მაწანწალა, უბინაო, უსახლკარო!
ხან ორბია, ხან არწივი, ხან ბულბული, ენა-ტკბილი,
ხან გულნაზი იადონი, სევდის ეშხით თავდახრილი!
ხან სიოა, დილის სიო, აქანავებს ხის კენწეროს,
ხან ზღვის ჭავლი—ზღვის ლურჯ ფონზე ამუსიკებს უხმო სფეროს!
ხან მეფეა, გრძნობის მეფე, უგვირგვინო, ულაშქარო,
და ხან ქუჩის მათხოვარი, უბინაო, უსახლკარო!

**გ. ქუჩიშვილი**

# მომაკვდავი

სიკვდილის წინ მის მკრთალ სახეზე სევდის ჩრდილი გამოიხატა... ყვავილებით მორთულ სარეცელზე ესვენა მომაკვდავი... იგი ჰგრძნობდა სხვადასხვა სახეებათ იშლებოდა მისი გონების წინაშე!...

ოჰ! რა საშინელი და გამოუთქმელი ნაღველი იყო მაშინ აღბეჭდილი მის სახეზე... თითქოს რაღაც წყდებოდა მის გულის სიღრმეს და ვერ ეპოვა სიტყვა მწუხარების გამოსათქმელად...

აი, ხედავს მომაკვდავი, გაფითრებულ სახეზე ცრემლით დასველებულ თვალებს... რა საცოდავად გამოიყურებიან იგინი!.. რა მშვენიერი და მომხიბლავი სევდით ავსებენ ადამიანის გულს!.. მომაკვდავი დიდხანს აკვირდებოდა ამ თვალებს!.. და უმზერდა... უმზერდა გაოცებული!.. ვერ გამოერკვია, თუ სად შეხვდა იგი მათ!.. ბოლოს, როგორც იქნა, მოიგონა, რომ პირველად სასაფლაოზე იხილა ეს თვალები, ღრმა ტანჯვით მიბინდილები!.. ასწლოვან ცაცხვის ქვეშ ზაფხულის საღამოს ობლად მიტოვებულ სამარესთან უმზერდა იგი ამ თვალებს..

მომაკვდავს ესმოდა გულის მომკვლელი

ქვითინი და ბოლმა-მოსული ჰგმობდა ადამიანის არარაობას!.. მას უფრო ის აწუხებდა, რომ ამ წამს არ შეეძლო ენუგეშებინა რითიმე პირმშოს სიკვდილით გულდამწვარი დედა!.. ,,ოხ! სიკვდილო, ნუ ხარ მწარე, როდესაც შენ გეძახი.. მე მიყვარხარ შენ... მოვედ, ჩამიკარ გულში და მით მომეც მე სამარადისო ცხოვრება!..‘‘—სთქვა მომაკვდავმა და ყვავილოვან სარეცელზე ნელნელ განუტევა სული!..

ვ გორგაძე

# სინათლე

(იხ „თეატრი და ცხოვრება“ № 2)

## მოქმედება მეორე

### სურათი I

მეორე დარბაზია სასახლეში. მეფე, სპასალარი და ვეზირი.

**მეფე**. სადაცაა ჩამოჰკრავენ თერთმეტს საათს და დარჩება მარტო თერთმეტი წუთი (ისმის ზარის ხმა, თერთმეტჯერ რეკავენ). შესრულდა... კიდევ თერთმეტი წუთი და... მარტო თერთმეტი წუთი... მითხ.რით რა ვქნა?.. რა წყალში ჩავვარდე?.. რომელი გავიმეტო... ვაიმე შვილებო!

**სპასალარი**. ნუ მიეცემი, ჩვენო დიდებავ, სასოწარკვეთილებას. გვიბრძანე და მთელი ერი ამხედრდება, დარაჯათ დაუდგება მეფის შვილებს... შევებრძოლებით თვით ჯოჯოხეთს...

**მეფე**. ჩემი პირობა, ჩემი სიტყვა?..

**ვეზირი**. პირობა, სიტყვა? ვისთან? ჯოჯოხეთის მოციქულთან... რა პირობა შეიძლება?..

**სპასალ**. მე კი მგონია, დაგვცინა და მოგვატყუა ამ ქვესკნელის შვილმა... იქნებ არც კი მოვიდეს. (გაისმის ჭექა-ქუხილი. გამოცვივდებიან დედოფალი, მოჰყავს ავთანდილი და გორჯასპი, თანამხლებელი ქალები)

**დედოფ**. (მეფე, სპასალარი და ვეზირიც წამოხტნენ) მიშველეთ, ვიღუპები... დადგა დღე აღსასრულისა... თქვენი ჭირიმეთ, მიშველეთ!.. (მეორედ ჭექა-ქუხილი, წითელი სინათლე და იატაკიდან ამოძვრება დავრიში. ყველანი შეკრთებიან და გაშეშდებიან)

**დავ**. სალამი დიდებულ მეფე ჯიმშერს... აბა, მეფევ, დანიშნულმა ვადამ განვლო და პირობაზე როგორა ხარ? მე ჩემი შევასრულე და შენ რას იტყვი?

**დედოფ**. (მიუახლოვდება დავრიშს) არ ვიცი ვინ ხარ, მაგრამ შებრალება გეცოდინება. (დაიჩოქებს) მუხლმოდრეკილი გევედრება უბედური დედა, აიღე ხელი პირობაზე... თუ მაინც და მაინც მსხვერპლი გინდა... აჰა, მე წამიყვანე...

**დავ**. მე მოვედი მეფე ჯიმშერთან. (მეფე, სპასალარი და ვეზირი მივლენ დედოფალთან, აყენებენ და ამშვიდებენ) მე მინდა დავრწმუნდე, მართლაც ისეთი მტკიცე და მაგარია მეფე ჯიმშერის სიტყვა, როგორც ჰგონია მთელს ქვეყანას?.. მეფევ! პირობაზე რას იტყვი? (უჩვენებს ავთანდილზე და გორჯასპზე) ამათში ერთი ჩემია...

**მეფე**. ჯოჯოხეთიდან ხარ მოსული, თუ საიდან, არ ვიცი... გემუდარები, გევედრები... აჰა, ნახევარი სამეფო... ცოტაა? მთელი სამეფო წაიღე... მხოლოდ დამიტოვე ორივე შვილი...

**დავრ**. ჰა, ჰა, ჰა! რად მინდა შენი სამეფო?.. ჩემი სიტყვა ხუთ შენისთანა სამეფოდ მიღირს. ჩემი სიტყვა მე აღვასრულე და ახლა შენი ჯერია... თუ უღალატებ შენს სიტყვას, შენს პირობას, მაშინ... მაშინ მეცოდინება ვისთან მქონია საქმე... მე ჩემსას მაინც გავიტან, მაინც აღვასრულებ და მივიღებ კუთვნილს: შენ კი შვილსაც დაჰკარგავ და სიტყვასაც გასტეხ...

**სპასალ**. კმარა ამდენი დაცინვა და დამცირება... ვინ არის ეს, ვინც ამისთანებს უბედავს მეფეს... ბრძანე, ხელმწიფევ, და ამ წუთში თავს გავაგდებინებ! (ხმალზე ხელს იკრავს)

**დავრ**. ჰმ! ჰა, ჰა, ჰა... მუქარა. ძალა?.. აბა, მაშ თუ ვინმე თქვენგანი ხმალს ქარქაშს დააშორებს, მე უარს ვამბობ ჩემს მოთხოვნილებაზე. (ყველანი ხმალს მიატანენ ხელს, ცდილობენ ამოიღონ ქარქაშიდან, მაგრამ ოდნავაც ვერ დაუძრავთ) ჰა, ჰა, ჰა... აბა, გმირებო, სად არის თქვენი ძალა, მუქარა... მეფევ! შენი სიტყვა?..

**მეფე**. კარგი... ულმობელო მტარვალო!.. რომელს... წაიყვან?!.

**დავრ**. ჰო, აი მაგაზე ვილაპარაკოთ (ამოიღებს ხელცახოცს). აი, ამ ხელცახოცს ოთხი ბოლო აქვს, ერთზე კვანძია... გამოსწიონ ორივე ყმაწვილებმა თითო ბოლო და ვისაც კვანძი ერგება, იგი ჩემია... იქნება არც ერთს

არ ერგოს, მაშინ მე წაგებული ვარ და თქვენ მოგებული... (მიიტანს ხელცახოცს ბავშვებთან) აბა, ყმაწვილებო, გამოსწიეთ თქვენს ბედზე.

**გორჯასპი და ავთანდილი** (გამოსწევენ და ავთანდილს კვანძი ერგება. დავრიში მიიტანს ხელს ავთანდილს)

**დავრ.** ეს არის ჩემი!.. (ავთანდილი გაუსხლტება, ჩაებღაუჭება დედოფალს)

**დედოფ.** არ დაგანებებ, არა... (მისცვივდებიან მეფე, სპასალარი, ვეზირი. იცავენ ავთანდილს. დავრიში უკან გადახტება)

**დავრ.** არც ეხლა მანებებთ?.. მაშ, კარგი! (გაიქნევს ხელს და უცბად დაბნელდება. ქარი დაუქროლებს. ასტყდება ჩოჩქოლი, მიხლა-მოხლა. ისმის ხმები: „გვიშველეთ. ვიღუპებით“, დედოფლის კივილი: „ვაიმე შვილებო?.. ცოტა ხნის შემდეგ



ისევ განათდა. ხალხი დაფანტულია. ზოგი მუხლ ჩაკეცილია, ზოგი კედელს მიჭყუდებია. დედოფალი უგრძნობი ტახტზე გაშოთილა. დავრიში და ავთანდილი აღარ არიან. განათების შემდეგ ცოტა ხანს გამოურკვევლობა ემჩნევათ)

**მეფე.** დედოფალს მიხედეთ, დედოფალს!.. (მისცვივდებიან დედოფალს, წამოაყენებენ, გამოაბრუნებენ)...

**დედოფ.** ჩემი შვილები?!. შვილები?! (მიჰგვრიან გორჯასპს) ეს ერთი... მეორე? ვაიმე დავიღუპე... მიშველეთ.

**მეფე.** ვაიმე შვილო! (ყველანი სტირიან).

ფ ა რ დ ა

ი. [illegible]

# პეპელა

**(სამი სურათი)**

— დუ ფანჯ, კამათელო, დუ ფანჯ! არ დამკლა კაკალი კაცი, არ დამკლა, კამათელო!

— ერთი დუსე ახლა სულის ცხონებაა სწორედ, თქვენ ნუ მომიკვდებით, ბატონო სამსონ!

ორი მეგობარი, სამსონ და გიორგი, აივანზე მაისის საღამოს ნარდს აგორებდნენ და სამსონის ახალგაზრდა ცქრიალა მეუღლის ვარდიკოს მიერ ნამცხვარ კვერებს დრო-გამოშვებით შეექცეოდნენ.

— ქალბატონო ვარდიკო, ამ თქვენ ბროლის თითებით ნაზელ კვერს დრო არ გიახლებოდეთ, სწორედ ამ ნარდს ვერ მოვიგებდი.— ეტყოდა გიორგი მეგობრის მეუღლეს, თან

ორმოცი წლის ნაცად თვალებით ვარდიკოს პატარა გულს ჩიტვით აფთხრიალებდა, მწყერივით აჭუკჭუკებდა.

ცოლის ქება სამსონს უხაროდა, მეგობარს უმადლოდა...

— დუ შაშ, კამათელო!..

—

ორმოც წელს გადაჭარბებული სამსონი დამარტოვდა: ცქრიალა ვარდიკო ცქრიალით გაუფრინდა.

— მე ცხოვრება მინდა, სიცოცხლე, ჰაერი მინდა, თორემ დავიხრჩე, ბატონო ჩემო! მზე მომეცით, მზე აპრილის პეპელას! რას ვაქნევ მე შენ სამსახურს, ანგარიშებსა! — ამგვარ ლექციას ახალგაზრდა ვარდიკო გაფრენის წინა დღეებში ხშირად უკითხავდა მოხუცების გზას დამდგარ სამსონს, რომელსაც მზეცა და სიცოცხლეც ოც-ოცდახუთ წლების ხანში სამდამოდ დაეკარგა.

— მერე მეგობართან მეგობართან, ჩემს ოჯახში ნაპურმარილევ კაცთან! — ახლაც ამბობს სამსონი.

გიორგი და სამსონი მტრები არიან: ძნელი ყოფილა ორმოცი წლის კაცების სიძულვილი და ავსულობა!..

—

— დუბარა, კამათელო! —

— ფანჯუ ჩარ, კამათელო! —

გულით ევედრება ორი მეგობარი კამათელს ბედის მოქცევას.

ძველს აივანზე ახლახან შერიგებულნი გიორგი და სამსონი ძველებურად ნარდს აგორებენ. მხოლოდ კვერებს, ვარდიკოს მიერ ნაზელ-ნამცხვარსა, ველარ შეექცევიან.

— ეშმაკი ეჯდა გულში იმ შეჩვენებულს, თორემ მაგხელა კაცი, შენგან არ მიკვირს, იმ სულელ გოგომ როგორ აგრია?! დუ ჩარი, კამათელო! —

— აკი დამტოვა, რაკი არ მქონდა მზე და სიცოცხლე, მეც ხომ დამტოვა, სამსონ ჩემო! —

გუშინდელი მტრები დამეგობრდენ, პეპელა კი ისევ ეძებს შემოდგომაზე აპრილის მზესა!...

ვ. თამროშვილი



დესპინე ივანიძისა

# მივხედოთ!..

(დ. ივანიძის დაავადმყოფების გამო)

—

ძლიერ სამწუხარო და გულის შემაძრწუნებელი ამბავი წავიკითხე გაზეთ „აზრში“: „ქართული სცენის მსახიობი ქალი დესპინე ივანიძისა სულით ავადმყოფობას შეუპყრია“.

დ. ივანიძისა — ეს ნიჭიერი მსახიობი ქალი, ქართული სცენის განუყრელი მეგობარი, თეატრის ღრმა მოსიყვარულე და ერთგული მუშაკი, დასნეულებულა და, ნუ თუ, მკითხველო, ეს ამბავი არ შეგაძრწუნებს?!

ეს ის მსახიობი ქალია, რომლის დაკვირვებული, გათვალისწინებული და მომხიბლავი თამაშით არა ერთხელ დამტკბარა ქართველი საზოგადოება და არა ერთხელ გამოსულა ნასიამოვნები თეატრის დარბაზიდან.

გაიხსენეთ მის მიერ შესრულებული როლები (დღენი ჩვენი ცხოვრებისა, სატანა, ანფისა და სხვა), და თქვენ წინ ცხადად გაიშლება დ. ივანიძის ვინაობა.

დღეს კი მას ქართულ სცენაზე ვერ ვხედავთ, და ველარ ვსტკბებით მისი დაკვირვებული თამაშით. დღეს ეს ნიჭიერი ადამიანი საშინელ სენს შეუპყრია და მისი ნიჭი, გრძნობა, გონება, აზრი უდროოდ დაუხშია, გაუმწარებია, ჩაუფერფლავს.

რა არის მიზეზი? იკითხავ მკითხველო.

სიმშილი, — აი მოკლე პასუხი.

ვერ აიტანა მოხუცებული ქალის სუსტმა აგებულებამ სიმშილი, წყურვილი, სიცივე, საშინელი მდგომარეობა საბრალო ბავშვებისა...

და ულმობელმა ცხოვრებამ ის ადრე გამწარა.

მას არავითარი სახსარი არ მოეპოვებოდა თავისი თავისა და შვილების გამოსაკვებად.

უკანასკნელ ხანებში ფერ-წასული ი. სახედამჭკნარი, დაუძლურებული დ. ივანიძისა წააგავდა ქუჩაში მოხეტიალე მათხოვარს, ვიდრე ქართული სცენის ერთ ნიჭიერ მოღვაწეთაგანს...

ამიტომ მოვმართავთ, ვისაც კი მაზე გული შეგტკივათ და სამშობლო სცენის მუშაკთა ბედი გიღირთ რამე, მიხედოთ მას, მიეშველოთ აუტანელ პირობებში მყოფ ავადმყოფს და აღმოუჩინოთ სწრაფი დახმარება, თორემ ბოლოს მწუხარება და სინანული გვიან იქნება...

**მ. ღვამიჩავა.**

**რედაქციისაგან**:—ქართული სცენის მუშაკთა უნუგეშო მდგომარეობამ ერთხელ კიდევ ამოიგმინა.

დ. ივანიძის არ იყო პირველხარისხოვანი მსახიობქალი, მაგრამ მაინც ერთგულად, გატაცებით ემსახურებოდა სამშობლო სცენას და სათვალჩინო ამაგიც მიუძღვის ქართული თეატრის შენაში. ამხანაგმა—მსახიობებმა თუ თავის დროზე ვერ მიჰხედეს თავისს ამხანაგს და სიღარიბით მძიმე ავადმყოფობამდე მიიყვანეს, დრამატ. საზოგ. გამგეობათ მაინც ევალებათ, რაც შეიძლება, დროით მიეშველნენ დაავადებულ ადამიანს—მსახიობს. საჭიროა, თბილისის დრამ. საზოგადოების გამგეობამ, ვითარცა უხუცესმა, ახლავე აღმოუჩინოს ნივთიერი დახმარება და, ეჭველია, მას სხვებიც წაჰბაძავენ.

**რედ.**

# ბუნება და ცხოვრება

(მეორე წერილი)

## სიცოცხლის საკვირველება

საფრანგეთის ერთი მეცნიერი, გუსტავ ლე-ბონი ერთ თავის წერილში ეხება სიცოცხლის საკვირველებას და სწერს შემდეგს:

ფიზიკური ძალა და ცოცხალი ნივთიერების ენერგია.

ბუნების მოვლენანი მარტივად არიან ახსნილნი რამოდენიმე ნავარაუდევ კანონებით. და თუ საბოლოოდ ჯერაც გამორკვეული არ არის ბევრი რამ, ადამიანის გონება ამითაც კმაყოფილდება.

მაცხოველებელი ძალა, ბუნება, სული, აღლო და სხვა ამგვარი ხშირად იგულისხმება, როგორც ერთად-ერთი ახსნა, მაგრამ არაფერი გარკვეული აზრი ამ ახსნაში არ მოიპოვება. როდესაც ვხედავთ, რომ პატარა მცენარე იზრდება, და ამ მოვლენას მაცხოველებელ ძალას ვაწერთ ამით სრულებით ვერ ვარკვევთ ამ მოვლენის ნამდვილ მიზეზს.

თუმცა მრავალი შესანიშნავი ბუნების კანონია აღმოჩენილი და მიგნებული, მაგრამ ძალიან ცოტა რამეა გამორკვეული სიცოცხლის საიდუმლოების შესახებ. ადამიანი ძალიან ადვილად გადადის სიცოცხლიდან სიკვდილისაკენ, მაგრამ სიკვდილისაგან სიცოცხლისკენ კი ვერ ავსულვართ. ფიზიოლოგიის მეცნიერთა აღწერას რომ მივსდიოთ, თუ როგორ მუშაობს ცოცხალი არსება, ასე გვგონია, თითქოს მათი სწავლა მისწვდა კიდეც სიცოცხლის საიდუმლოებას; ნამდვილად-კი ცოცხალ არსებათა აურაცხელ ნაწილაკების უმეტესი მოქმედება და მათი მიზეზები სრულებითაც ჯერჯერობით მიგნებული არ არიან. სწორედ ესენი წარმოადგენენ ნაწილს იმ უცნობ საგნების ვეებერთელა განყოფილებისას, რომელთაც მდუმარებით გვერდს უხვევენ სახელმძღვანელო წიგნები. ამასათვის ურიგო არ იქნება მოკლედ აღინიშნოს ის საზღვარი, რომელიც ჯერ მეცნიერებას არ გადაულახავს.

სიცოცხლის შესახებ დაკვირვებამ აღმოაჩინა, რომ ცოცხალ არსებებში ჰგიებს (არსებობს) სხვადასხვა გვარი ძალა. ზოგი მათგანი ბრმად მოქმედებს, როგორც მაგალითად სიმძიმე, ზოგი-კი პირიქით თითქოს მეთაურობს, განსაცვიფრებელის წინდახედულებით ისეთს მუშაობას, რომელიც გაცილებით უმაღლესია იმაზე, რის განხორციელება-კი არა, არამედ მარტოოდენ გაგებაც-კი შეუძლებელია უზენაესად განვითარებულ გონებისათვის. თითქოს ეს მოქმედება ისეთ ჯურის მოვლენათა დარგს ეკუთვნის, რომელიც ჩვენ მიერ მისაწვდენელ ფარგლის სრულებით გარეშეა.

ის ნაირნაირი ძალა, რომელიც მოქმედებს სიცოცხლის მოვლენებზე, ჩვენის ადამიანურის მსჯელობით, თითქოს იჩენენ განსაცვიფრებელ გამჭრიახობას. მაგრამ რისთვის არის გამოსადეგი ეს გამჭრიახობა? განსაცვიფრებელ მო-

ხერხების გამოსაჩენად ისეთი მრისხანე პარაზიტების არსებობის უზრუნველსაყოფელად, როგორიც არიან შავი ჭირი და ხოლერა. ამ უცნაურ ძალებს რომ ჩვენის გონების თვალით ავხედ-დავხედოთ, ძალაუნებურად და უცნაურად უნდა დავასკვნათ, რომ ეს ძალები მეტისმეტად გამჭრიახნი და უკიდურესად დაბრმავებულნი არიან.

ამ მართლაც მეთაურად დასახულ ძალებთან ერთად სიცოცხლის მოქმედება სხვა ძალებსაც ამჟღავნებს, უფრო მარტივს, რომელნიც თავისთავად ჰმოქმედებენ, კედლის საათის მოწყობილებასავით, როდესაც მის სამართ ზამბურაკს მოუჭერენ. როდესაც განხორციელდება ხოლმე სიცოცხლის ზოგიერთ მოქმედების საწარმოებელი პირობა, ამათი წარმომშობი ძალა თავისით ერთვის და განაგრძობს ჭახრაკივით წესიერს მუშაობას. ამნაირად ვაწარმოებთ აურიცხველ ორგანიულ ნივთიერებას და არაფერი კი არ ვიცით, თუ როგორ ჰსწარმოებს მოლეკულთა მოქმედება. ეს სხეულები ისევე იჩეკებიან, როგორც იჩეკება პატარა წიწილა, როდესაც კვერცხს მოვათავსებთ ხოლმე განსაზღვრულ სითბოში.

სიცოცხლისათვის ნივთიერება ყოველთვის უჯრედის სახეს იღებს. სწორედ ამ უჯრედების შიგნივ სითბო, ელექტრონი და სხვადასხვა ძალა, ჰაერისაგან და საზრდოსაგან შემატებული, გარდაიქმნებიან ჯერ მიუწდომელ ახალ ძალებად. თითქოს თვალთუჩინარი უჯრედები, რომელთაგან აგებულია ცოცხალი არსება, ისე იქცევიან, ვითომც თვითეულს მათგან თანაშემწედ თავის საქმეში ეგულებოდეს თითო მარჯვე ეშმაკი, როგორც ამას ამბობდა შესანიშნავი მათემატიკოსი მაქსველი.

(დანარჩენი შემდეგ)

**ვახ. ლამბაშიძე**

# კულისებში

(ნახულ-ნასმენი)

**მსახიობი—პატრი**

მსახიობი ვალერიან გუნია ქუთაისიდან თბილისს მოდიოდა. გრაკლის სადგურზე ორი ქართლელი გლეხი ცოლშვილით შევიდა მატარებლის იმ ვაგონში, რომელშიაც წვერ-ულვაშ გაპარსული მსახიობი იჯდა.

გლეხებმა უულვაშო კაცის დანახვაზე ბევრი იოხუნჯეს. მსახიობი ყოველივეს გულში ღიმილით ისმენდა. ერთი მოხუცი გლეხი მაინც არ ისვენებდა:

— ბიჭო მიხა, ერთი ამ... (და აქ ჩვენებურად გულიანად შეუკურთხა მსახიობს) შვილსა ჰკითხე, ვის ეკოხტავება, რო ულვაშები მოუპარსნია—მითომ და დასანიშნი ბიჭი ვარო, ცალი ფეხი კი სამარეში უდგია...

—აბა, რა ჩემი..... ვიცი! ვინ იცის, დუნიაზე რა მილეთის ხალხია...

—არა, ერთი ჰკითხე, ე ჩემა...

არ ეშვებოდა გლეხი და მსახიობს უკურთხებდა დედმამის სულს.

ბოლოს მსახიობმა ველარ მოითმინა და ქართულად გამოელაპარაკა...

— უცხო კაცის უულვაშობა რად გაწუხებს, ძმობილო: ჩემი რჯული ასე მიწერს...

გლეხები შეკრთნენ.

— რჯულიო?!

— დიაღ, მე ფრანგების პატრი-მოძღვარი გახლავართ...

— მოძღვარი?!—

შეჰკითხეს გაოცებით: შეგვინდე, მამაო, მიუგეს და ორივე გლეხმა, ქუდმოშვლეპილთ, მოწიწებით კურთხევა გამოსთხოვეს.

მსახიობმა — ,,პატრმა‘‘—გუნიამ ორივე გლეხს ,,შეუნდო‘‘, უნებლიეთნი შეცოდებანი აპატია და აკურთხა...

გლეხები სინანულით და სასოებით გაშორდენ მსახიობს. **იმე**!

## თეატრი—მწერლობა—ხელოვნება

**დ. სამტრედია.**—კვირას, 16 მარტს, აქაურ რკ. გზის თეატრში მსხიობ ჯაყელის მონაწილეობით დ სექციის თავმჯდომარის გ. გვარამაძის თაოსნობით წარმოადგინეს ავქ. ცაგარლის 4 მოქ. პიესა — „ციმბირელი“. ზედგამოჭრილი ციმბირელი იყო გ. სიხარულიძე: მან სავსებით განასახიერა ციმბირელი იოვანე, ხელოვნურად დაგვიხატა მრავალტანჯული, კაცთა ვერაგობით გაუბედურებული კაცი. მას მხარს უმშვენებდა ქ-ნი მამაგეიშვილისა (მოსამსახურე მაშო), რომლის ცქრიალა თამამმა მოხიბლა

დამსწრენი და ყოველი მისი გამოსვლა ხალხში აღტაცებას იწვევდა. მშვენიერი მაზუთიანი იყო მ. ლაზარევი: მან თვალწინ გადაგვიშალა გაუმაძღარ და მადა-აშლილ მაზუთიანის გულის ზრახვანი. ყოველი მისი გამოსვლა ყრუანტელს ჰგვრიდა მაყურებელს. მ. ჩუბინაშვილმა გვარიანად შეასრულა ნარგიზას როლი, მხოლოდ ჩქარობდა და ხშირად იბნეოდა, მაგრამ ეს ახალგაზრდა ქალი კარგი ძალაა სამტრედიის ღარიბ სცენისათვის. იმედია, ნაკლს გაისწორებს და ბეჯითად მოეპყრობა სცენას. კარგი პეტუა იყო გ. გვარამაძე, მაგრამ როლის უცოდინარობა ეტყობოდა. არა უშავდათ: ბ-ნ ჯაყელს (ნიკოლი), კ. მიქაძეს (ქალია) და ვ. ცხვედიანს (ხტეფან მაკარიჩ), დანარჩენნიც ხელს უწყობდენ წარმოდგენის მსვლელობას. საყოველთაოდ—ამ წარმოდგენაზე როლები მოთამაშეთ ნაკლებად იცოდენ, ორი თუ სამის გარდა. იმედია შემდეგ უფრო მეტის ყურადღებით მოეპყრობიან ნაკისრ მოვალეობას. ხალხი ბევრი დაესწრო და ნასიამოვნები დაიშალა, უკრავდა მუსიკა. შემდეგი წარმოდგენისთვის ამზადებენ ,,ექიმ შტოკმანს‘‘.

რეცენზენტი

# წვრილი ამბები

✦ **დ. აკოფაშვილის, ვ. რუხაძის, გ. ტაბიძისა** და სხვათა მონაწილეობით დღეს ქუთაისის თეატრში იმართება დიდი სალიტერატურო, სამუსიკო და დრამატიული საღამო.

✦ **სიო ქანტურიშვილის ახალი პიესა** „ბურუსი“, რომელიც წლევანდელ სეზონში უნდა დადგმულიყო ქართულ სცენაზე, დაიდგმება აღდგომის კვირაში. მისი დადგმა მინდობილი აქვს ბ-ნს ვ. შალიკაშვილს.

✦ **შალვა დადიანმა**, ბათუმის დასის რეჟისორმა შეადგინა ახალი სახელმძღვანელო წიგნი ,,მსახიობის ხელოვნება“, რომლის ბეჭდვასაც მოკლე დროში დავიწყებთ ჩვენს ჟურნალში.

✦ **თეიმურაზ ბატონიშვილის** ,,საქართველოს ისტორიის‘‘ გამოცემა განუზრახავს ზ. ჭიჭინაძეს. წიგნს დაერთვის ძველებური სურათები.

✦ **კ. მაყაშვილის ლირიკა**—ლექსთა კრებული, „თემის“ პრემია, ამ ჟამად „სორაპანის“ სტამბაში იბეჭდება და მალე გამოვა.

✦ **ვასო ურუშაძემ** თავისი საკუთარი გურული სცენები გადასცა დავიდოვის გრამოფონში.

✦ **ექ. ვახ. ლამბაშიძემ** გასულ შაბათს თბილისის ქართველ ქალთა საზოგადოებისთვის გამართა მესამე საუბრი „ნორჩი ბავშვის ჰიგიენისა და მოვლის შესახებ‘‘.

✦ **ქართ სცენის მოღვაწეთა მომავალ ყრილობისათვის** კომისიის დადგენილებით შემუშავდა შემდეგი გადასახადი: სცენის ყველა მოღვაწეთავის (ამაში შედიან სცენის მოყვარენიც) თითო მანათი, ხოლო დანარჩენ წევრებისათვის ორი მანათი.

✦ **„მრუდე სარკეს“ სომხურად** დასდგავენ სახაზინო თეატრში გ. ერიციანი და აშ. ათანასიანი 28 მარტს, ფრიად საგულისხმო შინაარსით. როგორც გადმოგვცეს, ესევე „მრუდე სარკე“ დაიდგა ბაქოში, სადაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და გაზეთებმაც ქებით მოიხსენიეს.

✦ **ქართველ სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობის** პირველი კრება შესდგება 27 აპრილს, შუადღის 12 ს. ქართულ თეატრის დარბაზში. ყრილობის მომწყობ კომისიამ საჭიროდ სცნო მიეწეროს არსებულ ქართულ. დრ. საზოგ. გამგეობებს, სცენის მოყვარეთა ჯგუფებს და სექციებს, თუ ვის რა ნივთიერი დახმარება შეუძლიან გაუწიოს ამ ყრილობას. კომისიაში გამოითქვა ასეთი აზრიც, რომ თუ დრო და გარემოება ნებას მისცემს, ჩამოსულ მსახიობების მონაწილეობით გაიმართოს ერთი სადღესასწაულო წარმოდგენა.

✦ **წმ. ნინოს უბნის უფასო სამკითხველოს წევრთა საზოგადო კრება მოხდა** გასულ კვირას, 16 მარტს. კრების თავმჯდომარე იყო ბ. შიო დედაბრიშვილი. კრებამ ამოირჩია გამგეობის წევრებად: ვასო თევდორაშვილი, გიორგი სუხიშვილი, გიორგი ფარადაშვილი, გიორგი მიროტაძე, კანდიდატებად: ლადო სუხიშვილი და ისაკ ძნელაძე. სარევიზიო კომისიის წევრებად: პავლე ფრანგიშვილი, გრ. ანაშვილი და იოსებ კალანდაძე.

**ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“ გორის სამკითხველოს** გაუწერა თავის ხარჯით იასონ ჩიქოვანმა.

✦ **ხობის სამკითხველოს ჟურ, „თეატრი და ცხოვრება“** მთელის წლით თავის ხარჯით გაუწერა თავ. გიორგი ხერხეულიძემ.

✦ **კ. ერისთავმა შეაკეთა** თავისი სამ-მოქმედებიანი პიესა „ბრმა“, რომელიც დღეს ქართულ თეატრში იქნება წარმოდგენილი.

✦ **ავლაბრის სახალხო თეატრში** კვირას, 23 მარტს, ავლაბრის სახ. წარმ. მმართვ. წრის მიერ ი. ივანიძის, ს. რომანიშვილის და ი. ყივიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ავლაბრის სცენაზე ახალი პიესა ბელოისა „უმუშევარნი“—დრამა 4 მოქმ. პიესას რეჟისორობს ი. ივანიძე.

✦ **შალვა დადიანი**, ბათუმის დასის მსახიობრეჟისორი, ქართველ სცენის მოღვაწეთა ყრილობისათვის ამზადებს სამს მოხსენებას: „პროფესიონალური კავშირი“, „რეპერტუარი“ და „ქართული ენა ჩვენს სცენაზე“.

✦ **გ. ქუჩიშვილმა დასწერა** ახალი პოემა „სამოთხის კართან“. პოემის ბეჭდვას ჩვენს ჟურნალში დავიწყებთ.

✦ **მომღერალი ივ. სარაჯიშვილი** მომავალი სეზონისთვის ყაზანის ოპერაში მიიწვიეს.

გადმობეჭდილია 1865 წ. წარმოდგენის პროგრამიდან უცვლელად—თავის შეცდომებით და პირვანდელის სახით- დედანი (ნაბეჭდი) პროგრამისა დრ. საზ. გამგეობას გარდაეცა შესანახად.

# Съ дозволенія Начальства.

## ВЪ МѢСТЕЧКѢ ХОНИ.

## ВЪ ВОСКРЕСЕНІЕ 24 ГЕНВАРЯ 1865 ГОДА.

въ пользу бѣдныхъ Сдудентовъ данъ будетъ спектаклъ, на Грузинскомъ языкѣ раздѣлъ комедія въ четырехъ дѣйствіяхъ Кн. Эристова.

კვირას კდ იანვარს ჩყჲე წელსა იქმნება წარმოდგენა დაბასა ხონს.

### ДѢЙСТВУЮЩІЯ АИЦЛ.

Князь Андукапаръ Вдовецъ Кн. Иванъ Цулукидзе.
братья его: Павелъ Кн. Константинъ Цулукидзе.
Иванъ-получившій воспитаніе въ Росіи и пріѣхавшій.
вновъ изъ Варшавы — — Давидъ Цулукидзе.
Макрина, жена Павла Княгиня Софія Цулукидзе.
Нина, дочъ павла — — Княжна Анна Цулукидзе.
Микиртумъ Гаспаричъ Кн. Константинъ Цулукидзе.
Татела, жена Микиртума. Княгиня Софія Цулукидзе.
Шушана, дочь Микиртума Княжна
— — — — Ефросина Цулукидзе.
Рамазъ-Судейскій Секретаръ Кн. Григорія Цулукидзе.
Барзимъ род. Дидебулидзевыхъ. К. Михалъ Цулукидзе.
Барамъ, управляющій Андукапара Кн Ник Цулукидзе.
Камісионоръ брать тацели Кн. Асланъ Цулукидзе.
Гавріилъ. Слуга Ивана Кн. Самсонъ Цулукидзе.
Кардашверди Горнишня Княжна Дарія Цулукидзе.
Имеретинъ, Соколничи Павла Кн. Соломонъ Цулукидзе
Медіятори Гости и слуги. — — Кн. Цулукидзе.

### მოქმედნი პირნი

თავადი ანდუყაფარ ქვრივი — თ. ივანე წულუკიძე.
ძმანი მისნი: პავლე — თ. კონსტანტინე წულუკიძე.
ივანე, რუსეთში გაზდილი ვარშავიდგან ახლად მოსული,
— — — — — — — დავით წულუკიძე.
მაკრინე ცოლი პავლესი — კნე. სოფიო წულუკიძისა.
ნინო ქალი პავლესი —— კნიაჟნა ანა წულუკიძის.
მიკირტუმ გასპარიჩ ტრდატოვი —— თავადი კონ-
ტანტინე წულუკიძე.
თათელა ცოლი მიკირტუმასი - კნე. სოფიო წულუკიძისა
შუშანა-ქალი მიკირტუმასი —— ეფრასინა წულუკიძის.
რამაზ-სეკრეტარი სუდის — თავადი გიგო წულუკიძე.
ბარძიმ ნათესავიდგან ებულიძეებთა — თ. მიხაილ წულუკიძე
ბარამ, მოურავი ანდუყაფარისა — თ. ნიკო წულუკიძე
კომისიონერი, ძმა თათელასი — თ. ასლან წულუკიძე.
გაბრიელ მსახური ივანესი — თ. სამსონ წულუკიძე.
ყარდაშვერდი გოგო ნინოსი — კნ. დარიკო წულუკიძის.
იმერელი ბაზიერი პავლესი- თ. სოლომონ წულუკიძე
მედიატორები სტუმრები მსახურები — თ. წულუკიძეები.

## ЦѢНА МѢСТАМЪ

съ перваго допоследняго ряда Стульевъ по 1 р. сереб остальные 50 к.

ფასი ადგილების პირველის რიადიდამ უკანასკნელამდე მანეთათ დანარჩენი ათ-შაურათ.

## начало въ 7 часовъ пополудни.

Билети можно получать въ мѣстечкѣ Хони вѣдомѣ представленія.

დაიწყება ნაშვადღევს შვიდ საათზედ. ბილეთი შეიძლება მიიღონ დაბას ხონს სახლშიდ სადაც წარმოდგება

Початать дозволяется 24 Января 1865 Г. Кутаисъ Полиційместеръ Герарди.
Въ Типографіи Я. Ротенберга.

რედაქტორ-გამომცემელი ანნა იმედაშვილისა

**ყოველკვირეული სამხატვრო-სალიტერატურო, სათეატრო და საზოგადოებ-
რივი შინაარსის სურათებიანი ჟურნალი**




**იუმორისტული განყოფილებით და კარიკატურებით.**
ჟურნალში დაიბეჭდება წერილები თეატრის, მწერლობის, მუსიკის, მხატვრობა-ხელოვნებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების შესახებ, კრიტიკული განხილვანი, დახასიათებანი, ისტორიულ-ბიოგრაფიული ცნობანი, მოთხრობანი, ლექსნი, იუმორისტული ამბავნი, სამეცნიერო მიმოხილვანი, სურათები, ნახატები, კარიკატურები და სხ.

**ყოველს ნომერში დაიბეჭდება სარეპერტუარო პიესა, ორიგინალური ანუ ნათარგმნი.**

ჟურნალს საგანგებო თანამშრომელ კორესპონდენტები ჰყავს რუსეთსა და საზღვარგარედ. ჟურნალში იითანამშრომლებენ ცნობილი მწიგნობარნი, მუსიკოსნი, დრამატურგნი, მგოსანნი და მხატვარ-ხელოვანნი.

**ჟურნალის ფასი:** წლიურად—5 მ, (წლის დამლევამდე—4 მ.). ნახევარი წლით—3 მ.. თითო - 10 კ. ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: ხელმოწერის დროს 1 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად.

**ხელისმოწერა მიიღება**: ქართ. დრამატ. საზოგადოების კანტორაში და იოსებ იმედაშვილთან („სორაპანის“ სტამბაში) დილით 10—2 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდეა.

წერილები და მასალები უნდა გამოიგზავნოს იოსებ იმედაშვილის სახელზე—Тифлисъ, ред. жур. „**Театри да Цховреба**“ Іосифу Имедашвили.

ჟურნალში დასაბეჭდი განცხადებანიც მიიღება იქვე. ტელეფონი № 15-41

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

---

**მიიღება ხელის მოწერა 1914 წლისთ.**

წელიწადი მეოთხე

# თემი

წელიწადი მეოთხე

**საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
გამოდის ორშაბათობით**

წლიურნი ხელის მომწერელნი მიიღებენ **2** საჩუქარს: 1) წიგნს, სადაც მოთავსებული იქნება **აკაკის** პოემა „**რაჭა-ლეჩხუმი**“, რაჭა-ლეჩხუმში მისი მოგზაურობის ამბავი წარმოთქმული სიტყვები და ამ კუთხის რუკა; 2) **ნ. ა. დუბროვსკის** თხზულებას „**ავგუსტ ბებელი**“, რომელიც საკუთრად „თემი“-სთვის არის დაწერილი.

ხელისმოწერა მიიღება „თემი“-ს რედაქციაში (ოლგას ქ , სახ- დიასამიძისა, № 4).

**ფასი გაზეთისა**: წლიურად—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., ერთი თვით—25 კ. კონტორა ღიაა ყოველდღე დილის 10 საათიდან 1 საათამდე.

მისამართის გამოცვლა თბილისს გარეშე 40 კ.

მისამართი: Тифлисъ, Ольгинская № 4, д. Діасамидзе, редакція газ. „**Теми**“.

რედ.-გამომცემელი **ერ. დიასამიძე**

---

**გამოდის ქუთაისში 3 მარტიდან
ორშაბათობით**

# შრომა

**სალიტერატურო-საპოლიტიკო და ეკონომიური გაზეთი.**

რედაქცია: გიმნაზიის ქ., პ. ფერაძის და ნ. კარნაუხოვის სტამბის სადგომში.

**გაზეთის ფასი**: წლით—2 მ. 50 კ., ნახევარ წლით—1 მ. 25 კ., თვით—25 კ., ცალკე ნომერი 5 კ. საზღვარ გარედ ორჯერ მეტი.

ფული და წერილები მიიღება: Кутаисъ, ред, еженед. груз. газеты „**Шрома**“.

---

# ფიქრი

**საორშაბათო სრულ პროგრამიანი ყოველკვირეული სალ. და საპოლ. გაზეთი.**

**მიიღება ხელის მოწერა**: წლით—2 მ., ნახევარ წლით—1 მ., თვით 20 კ., თითო №—5 კ. საზღვარ გარედ—ორჯერ მეტი.

მისამართი: Тифлисъ, Баронская ул., Типогр. „Надежда“ для „**Пикри**“—Константину Лукичу Копалейшвили.

პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილით 11 12 ს., საღამოს 5—6 ს.